საქართველო
GEORGIA
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
LEPL - AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY

59 თამარ მეფის ქ., ქუთაისი, 4600, საქართველო
ტელ.: (+995 431) 245 784; (+995 431) 243 833
ელ. ფოსტა: atsu@atsu.edu.ge

59, Tamar Mefe st., Kutaisi, 4600, Georgia
Tel.: (+995 431) 245 784; (+995 431) 243 833
E-mail: atsu@atsu.edu.ge

№01-04/76 **ბრძანება** 9.10. **2017 წელი**

2017-2018 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრში ბაკალავრიატის პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების პირველ სასწავლო წელს სტუდენტის სტატუსის აღდგენილი ან მობილობით/შიდა მობილობით ჩარიცხული პროგრამული დაფინანსების ფარგლებში დასაფინანსებელი სტუდენტების გამოსავლენი წესის დამტკიცების შესახებ

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 17 აგვისტოს ბრძანების (№135/ნ) საფუძველზე, დამტკიცდეს 2017 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრში ბაკალავრიატის პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების პირველ სასწავლო წელს სტუდენტის სტატუსის აღდგენილი ან მობილობით/შიდა მობილობით ჩარიცხული პროგრამული დაფინანსების ფარგლებში დასაფინანსებელი სტუდენტების გამოვლენის წესი.
   1.1. თუ ბაკალავრიატის პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით ((№135/ნ 17.08.2017) აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის გამოყოფილი პროგრამული დაფინანსების წლიური მოცულობების ფარგლებში გათვალისწინებული სტუდენტთა რაოდენობა აღემატება გათვალისწინებული ადგილების რაოდენობას, პროგრამული დაფინანსების ფარგლებში დასაფინანსებელი სტუდენტების გამოსავლენად, ჩატარდეს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა.
   1.2. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამების ის სტუდენტები, რომლებმაც 2017 წლის საშემოდგო სემესტრში სწავლების პირველ წელს აღიდგინს სტუდენტის სტატუსი ან ჩაირიცხნენ მობილობის/შიდა მობილობის საფუძველზე პრიორიტეტული

პროგრამული მიმართლებების ფარგლებში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში აბარებენ გამოცდას წერითი ფორმით (იხილეთ დანართი 1).

1.3. გამოცდა ტარდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, ამ მიზნისათვის შექმნილი საუნივერსიტეტო საგამოცდო კომისიის მიერ.

1.4. კონკურსანტის საგამოცდო ნაშრომი ფასდება 100-ქულიანი სისტემით (იხ. დანართი 1).

1.5. გამოცდის დაწყებამდე ერთი საათით ადრე, კონკურსანტები გადიან საგამოცდო რეგისტრაციას, რისთვისაც რეგისტრატორებს წარუდგინენ პირადობის დამადასტურებელ მოწმობას.

2. კონკურსანტი ვალდებულია:

ა) დაუგვიანებლად გამოცხადდეს გამოცდაზე. საგამოცდო დროის ათვლის დაწყების (რეგისტრაციის დამთავრების) შემდეგ კონკურსანტი გამოცდაზე არ დაიშვება;

ბ) თან იქონიოს პირადობის მოწმობა;

გ) გამოცდის დამთავრების შემდეგ საგამოცდო დავალების ჩაბარებისას ხელი მოაწეროს სპეციალურ უწყისში;

დ) შეასრულოს ამ დადგენილებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებანი და გამოცდის დამკვირვებლის ცალკეული მითითებანი.

2.1. გამოცდის მსვლელობისას კონკურსანტს ეკრძალება:

ა) მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული აპარატურის ქონა;

ბ) გამოცდაზე დამხმარე მასალის - სახელმძღვანელოების, ჩანაწერების, ფურცლების და სხვა გამოყენება;

გ) საგამოცდო დავალების ფურცელზე ან საგამოცდო ნაშრომზე მაიდენტიფიცირებელი ნიშნის (სახელი, ნომერი, მისამართი და სხვა) ან რაიმე სახის ისეთი გრაფიკული გამოსახულების (ფიგურა, წარწერა და ა.შ.) დატანა, რომელიც დაკავშირებული არ არის საგამოცდო დავალებასთან;

დ) გადალაპარაკება, დახმარების გაწევა ან მიღება რაიმე ფორმით, სხვა კონკურსანტისათვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა;

ე) სამუშაო ადგილის უნებართვოდ დატოვება. სამუშაო ადგილის დატოვება შესაძლებელია მხოლოდ უნივერსიტეტის მიერ გამოცდაზე მივლენილ თანმხლებ პირთან ერთად.

2.2. საგამოცდო ნაშრომები, კოდირების შემდეგ, რეგისტრირდება და გამსწორებელთა კომისიას მიეწოდება აწსუ საგამოცდო სექტორის მიერ.

2.3. ნაშრომი, რომლის შესრულებისას გამოყენებული იქნება განსხვავებული ფერის მელანი ან რომელიც შეიცავს მაიდენტიფიცირებელ ნიშანს ან რაიმე სახის გამოსახულებას (რომელიც დაკავშირებული არ არის საგამოცდო დავალებასთან) არ გასწორდება.

3. იმ შემთხვევაში, თუ კოკურსანტი არ გამოცხადდება გამოცდაზე მას უფორმდება 0 (ნული) ქულა.

4. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 51 ქულით.

5. კოკურსანტთა რანჟირება:

   5.1. რანჟირების სია დგება პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და კონკურსანტთა მიერ აწსუ-ს მიერ განსაზღვრულ გამოცდაში მიღებული ქულის შესაბამისად. კონკურსანტები დალაგებული არიან შეფასებების კლებადობის მიხედვით.

   5.2. თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებულ შეფასებას (სკალირებულ ქულას).

   5.3. კონკურსანტთა რანჟირებულ სიას ადგენს საუნივერსიტეტო საგამოცდო კომისია;

   5.4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაიგზავნება იმ კოკურსანტთა მონაცემები, რომლებიც ამ ბრძანების 5.1 და 5.2 პუნქტების მიხედვით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 17 აგვისტოს ბრძანების (№135/ნ) საფუძველზე, სწავლების პირველ სასწავლო წელს სტუდენტის სტატუსის აღდგენილი ან მობილობით/შიდა მობილობით ჩარიცხული პროგრამული დაფინანსების ფარგლებში მოიპოვებენ დაფინანსების უფლებას.

6. ფაკულტეტის დეკანებმა უზრუნველყონ კოკურსანტთა ინფორმირება.

7. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა ჩატარდება 2017 წლის 10 ოქტომბერს, 12 საათზე, უნივერსიტეტის I კორპუსში (59, თამარ მეფის ქ., ქუთაისი, 4600), წინასწარ განსაზღვრულ აუდიტორიებში.

8. უნივერსიტეტის კანცელარიამ უზრუნველყოს ბრძანების განთავსება საინფორმაციო დაფაზე, ხოლო მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურმა ბრძანება განათავსოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

უნივერსიტეტის რექტორი: **პროფ. გიორგი ღავთაძე**

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი: **პროფ. იმერი ბასილაძე**

დანართი #1

2017-2018 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრში ბაკალავრიატის პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების პირველ სასწავლო წელს სტუდენტის სტატუსის აღდგენილი ან მობილობით/შიდა მობილობით ჩარიცხული პროგრამული დაფინანსების ფარგლებში დასაფინანსებლად გამოსავლენი სტუდენტების გამოცდისათვის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული **მოთხოვნები და კრიტერიუმები:**

- კონკურსანტი წერს სამოტივაციო წერილს.
- სამოტივაციო წერილი - მაქსიმალური ქულა 100. დადებითად შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა.
- სამოტივაციო წერილი შინაარსობრივად უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
  - რატომ გსურთ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა, თქვენი მიზნები;
  - რატომ აირჩიეთ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
  - როგორ გამოიყენებთ შეძენილ ცოდნას დარგში;
  - არჩეულ სფეროში აღწერეთ ერთი პრობლემა და მისი გადაჭრის თქვენეული ხედვა
- სამოტივაციო წერილის შეფასების კრიტერიუმები:
  თითოეული კრიტერიუმის ფარგლებში, მაქსიმალური შეფასებაა 10 ქულა. შეფასებები ჩაიშლება სამოტივაციო წერილის შესრულების ხარისხის მიხედვით. კერძოდ:

1. **მოტივაცია – 50 ქულა**

კრიტერიუმი	**ძალიან კარგი**	**კარგი**	**საშუალო**	**დაბალი**	**ძალიან დაბალი**
აპლიკანტის მოტივაცია მკაფიოა და შეესაბამება პროგრამის მიზნებს	10-9	8-7	6-5	4-2	1
აპლიკანტს მკაფიოდ აქვს გააზრებული საგანმანათლებლო მიზნები	10-9	8-7	6-5	4-2	1
კანდიდატი ორიენტირებულია სფეროში (იცის, რა უნდა გააკეთოს მომავალში, რა კარიერული ზრდა და რა ცოდნის მიღება სჭირდება)	10-9	8-7	6-5	4-2	1
აპლიკანტს არგუმენტირებულად აქვს გააზრებული და ჩამოყალიბებული, თუ როგორ გამოიყენებს დარგში შეძენილ ცოდნას	10-9	8-7	6-5	4-2	1
სტრუქტურა, ენა და სტილი გამართულია	10-9	8-7	6-5	4-2	1

2. **არჩეულ სფეროში ერთი პრობლემა და მისი გადაწყვეტა - 50 ქულა**

კრიტერიუმი	**ძალიან კარგი**	**კარგი**	**საშუალო**	**დაბალი**	**ძალიან დაბალი**
პრობლემის მთავარი საკითხის ჩამოყალიბება	10-9	8-7	6-5	4-2	1
საკითხის გადაჭრის ალტერნატივები	10-9	8-7	6-5	4-2	1
საკითხის გადაჭრის ყველაზე ეფექტური მიდგომა	10-9	8-7	6-5	4-2	1
წარმოდგენილი სტრატეგიის (საკითხის გადაჭრის) არგუმენტირება	10-9	8-7	6-5	4-2	1
სტრუქტურა, გამართული ენა და სტილი	10-9	8-7	6-5	4-2	1